

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №27

ქ. საგარეჯო

19 მარტი 2012 წელი

ერთი მხრივ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი გამგებლის გია ჩალათაშვილის სახით (საიდენტიფიკაციო კოდი 238154849, მისამართი ქსაგარეჯო, დავით აღმაშენებლის ქ. №9, ა/ა GE71LB0120138521931001, ბანკის კოდი LBRTG22 ს.ს. „ლიბერთი ბანკი“-ის საგარეჯოს ფილიალი) და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „ინჟინერი“ (შემდგომში „მიწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნათელა ბუჭყურაშვილის სახით ((საიდენტიფიკაციო კოდი 238107909, მისამართი ქსაგარეჯო, დავით აღმაშენებლის ქ. №15, ა/ა GE67LB0113152272345000, ბანკის კოდი LBRTG22 ს.ს. „ლიბერთი ბანკი“-ის საგარეჯოს ფილიალი), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის და პრეტენდენტის საკონკურსო წინადადების საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.
- 1.3 „დღე“ - კვირა, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5 „მიწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას (თანმხლები მომსახურებით) ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6 „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- 1.7 „ტექნიკური დავალება“ - საკონკურსო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1 ქალაქ საგარეჯოში დავით აღმაშენებლის და ერეკლე II-ის ქუჩების რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.
- 2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 10000 (ათი ათასი) ლარს.
- 3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

- 4.1 მიწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
- 4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (სასაქონლო ზედდებულო) საფუძველზე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემდეგ მიწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.
- 5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ განსაზღვრული იქნება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის.

თ. ძაძიყიძე

5.3 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

- გაწეული მომსახურების აღწერა;
- გაწეული მომსახურების ღირებულება.

6. მომსახურების მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. საგარეუკო. დავით აღმაშენებლის ქ#9.

6.2 მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების დადებიდან 14 დღეში.

7. მზარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

- ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
- ბ) მომსახურების დასრულებამდე გამოითხოვოს მიწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს მიწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული ვალდებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიწოდებელი ვალდებულია:

- ა) გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2. პუნქტში;
- ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ტექნიკური დავალების შესაბამისად.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსზღვრული პირი.

8.2 ინსპექტირების გაწევის ფუნქციები:

- ა) „მიწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.
- ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.
- გ) „მიწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გაწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 „მიწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრათან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიწოდებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შესრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მზარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადავილებულ დღეზე შესრულებული ვალდებულების ღირებულების 0,1% -ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს უამური თანხა გადაჭარბებს ხელშეკრულების უამური ღირებულების 10%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მზარეს მირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

თ. ბაბიქაძე

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

- 10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
- 10.2 ხელშეკრულების პირობების, შათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
- 10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეურულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
- 10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
- 10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

- 11.1 მხარეები თავისფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებლობით გაწეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
- 11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
- 11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი
საგარეო სტრუქტურული განყოფილება
გია ჩალოთაშვილი



მიმწოდებელი
შ.პ.ს. „ინჟინერი“
ნათელა ბუჭყურაშვილი



თ. ძაჭივლიძე